

## პრესრელიზი

**„ჯი-აი-ჯი“ საოკუპაციო ზოლთან არსებული სკოლის სპორტული დარბაზის გასარემონტებლად გამართულ აქციას შეუერთდა**



"საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი" „საოკუპაციო ზოლთან არსებულ სოფელ ბერშუეთის სკოლის სპორტის დარბაზის კეთილმოწყობის მიზნით გამართულ საქველმოქმედო აქციას შეუერთდა. 18 დეკემბერს, კამპანიის „ძლიერები არ ძალადობენ“ ინიციატივით საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა. საქართველოსა და მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავების აქსესუარების გაყიდვიდან შემოსული თანხით ბერშუეთის საჯარო სკოლის სპორტის დარბაზი გარემონტდება და საჭირო ინვენტარით მომარაგდება. "საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" აუქციონზე 2 ლოტი- ზაზა ფაჩულიას მაისური და ტოჩინოშინის კიმონო და ობი შეიძინა. კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით ბერშუეთის სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის შემდეგ ტოჩინოშინის კიმონო და ობი სკოლას გადაეცემა და დარბაზში დაიკიდება.

კამპანიის "ძლიერები არ ძალადობენ" ფარგლებში , საქართველოსა და მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავების აქსესუარებით აუქციონზე 42 ათასი ლარი შეგროვდა.

---

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

